

„ოიდიპოს მეფე“ – ინტერპრეტაციები

სოფოკლეს "ოიდიპოს მეფე" არის დრამა, რომელიც სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაგვარად გაიაზრეს. ჩვენი თემის მიზანია, აღნიშნული დრამის ინტერპრეტაცია რამდენიმე, კერძოდ: არისტოტელეს, გ. ფ. ვ. ჰეგელის, რ. ჟირარის, ზ. ფროიდის თეორიებზე დაყრდნობით.

არისტოტელე "პოეტიკაში" ტრაგედიასთან დაკავშირებულ არაერთ საკითხს განიხილავს. ზოგადად, ტრაგედიის პოეტიკაზე მსჯელობისას, იგი ეხება სოფოკლეს "ოიდიპოს მეფესაც". "პოეტიკაში" მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტრაგედიის დანიშნულებაზე საუბარს. არისტოტელე წერს, "ტრაგედია არის ასახვა არა მხოლოდ დასრულებულის, არამედ აგრეთვე შიშისა და სიბრაღის აღმძვრელი მოვლენებისა" (არისტოტელე 1969 : 23).

"ტრაგედიის რთული შედგენილობა უნდა იყოს შიშისა და სიბრაღის აღმძვრელ საქმეთა ასახვა, ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, ცხადია, რომ არც კარგი კაცი უნდა იქნას წარმოდგენილი ისე, რომ იგი ბედნიერებიდან უბედურებისაკენ გადადიოდეს, არც ცუდი კაცი უნდა იქნას წარმოდგენილი ისე, რომ იგი უბედურებიდან ბედნიერებისკენ გადადიოდეს... ფაბულის ასეთი შედგენილობა გამოიწვევდა კაცისადმი სიყვარულს, მაგრამ ვერ გამოიწვევდა ვერც სიბრაღულს და ვერც შიშს: სიბრაღული ხომ არის გრძნობა დაუმსახურებლად უბედურთა მიმართ, ხოლო შიში არის გრძნობა ჩვენს მსგავსთა მიმართ" (არისტოტელე 1969 :27). არისტოტელეს თქმით, შიშსა და სიბრაღულს გამოიწვევს ისეთი კაცი, რომელსაც ზემოთქმულ ფაზებს შორის უჭირავს საშუალო ადგილი. "ასეთი კაცია, ის, ვინც დიდს პატივისცემასა და ბედნიერებაში მყოფთაგან განირჩევა არა სათნოებითა და სიმართლით, და ვინც უბედურებაში ვარდება არა სიავისა და სიმდაბლისათვის, არამედ რაღაც შეცდომის გამო" (არისტოტელე 1969 : 28). აღნიშნულის მაგალითად იგი ასახელებს "ოიდიპოს მეფეს". რა შეიძლება იყოს, არისტოტელესეული "რაღაც შეცდომა"?

ცნობილია, რომ ანტიკური ტრაგედია გმირის ბედსა თუ მოქმედებას უკავშირებს ბედისწერას. ბედისწერით იყო განსაზღვრული ოიდიპოსის ტრაგედია. არისტოტელეს თვალსაზრისს რომ მივყევთ, საბედისწერო შეცდომამ განაპირობა მეფის დიდების ამგვარი დასასრული. ასეთ შეცდომად მიგვაჩნია, ოიდიპოსის ბიოლოგიური მამის, ლაოსის საქციელი. მან წინასწართქმულის შიშით (შვილი მოკლავს მამას და ცოლად შეირთავს დედას), ჯერ კიდევ ჩვილი, საკუთარი შვილი ტყეში წააყვანინა მოსაკვდინებლად. ეს ამბავი დრამის დასასრულს ცხადდება. სიმართლის შეტყობის შემდეგ ოიდიპოსი ამბობს_ "თურმე ვყოფილვარ დაწყევლილი დაბადებითვე" (სოფოკლე 1971: 74). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ოიდიპოსის ბედი მისი დაბადებიდანვე განსაზღვრული და განპირობებულია პირველივე შეცდომით ანუ მამის ქმედებით. საერთოდ, ამ დრამაში ყველაფერი სწორედ "პირველი შეცდომიდან" მომდინარეობს.

ჰეგელი "ესთეტიკაში" განიხილავს დრამატული ჟანრის სხვადასხვა ასპექტს. ჩვენი ინტერესიდან გამომდინარე, ამჯერად, ყურადღებას მივაპყრობთ კოლიზიის ცნებას. ჰეგელი აღნიშნავს, რომ იდეალის მშვენიერება მის აუმღვრეველ ერთიანობას, სიმშვიდესა და სრულქმნილებასია. კოლიზია კი არღვევს ამ ერთიანობას, ჰარმონიას. ეს "ერთიანი იდეალი მოჰყავს დისონანსისა და დაპირისპირების მდგომარეობაში" (ჰეგელი 1973: 236). ამ ჰარმონიის დარღვევა მისი თქმით, ორი სიმართლის შეჯახებას იწვევს. "ხელოვნების ცნების თანახმად, ჭეშმარიტ მშვენიერში კონფლიქტებად გაშლილი დაპირისპირების თითოეული მხარე იდეალის ბეჭედს მაინც უნდა ატარებდეს და ამიტომ არც გონიერება და გამართლება უნდა აკლდეს. იდეალური ხასიათის ინტერესებმა უნდა იბრძოლონ. ასე, რომ ძალა გამოდის ძალის წინააღმდეგ" (ჰეგელი 1973: 253). ჰეგელის აზრით, ორივე მხარე ერთიანი ზოგადი ჭეშმარიტების შვილია, თუმცა, ისინი: განსხვავებული, განსაზღვრული, განსაკუთრებული მომენტებია. თავისი შეხედულების განსამტიცებლად მას მაგალითად მოჰყავს სოფოკლეს "ანტიგონე". იგი კრეონის ბრძანების შესახებ წერს, რომ მასში ერთგვარი არსებითი გამართლებაც არის. ანტიგონე ძმისადმი სიყვარულითაა გამსჭვალული, მის ცხედარს ფრინველთა საჯიჯგნად ვერ დატოვებს... ამგვარი გააზრების მიხედვით, "ანტიგონეში" მართლაც გამოიკვეთება ორი სიმართლის დაპირისპირება, მაგრამ როგორ შეიძლება მოერგოს ეს თეორია "ოიდიპოს მეფეს"? ტექსტიდან ჩანს, რომ ოიდიპოსის ქმედება_მამის, ლაოსის მკვლელობა გაუცნობიერებელია. მან არ იცის ვის კლავს.

ოიდიპოსის თითქმის ყველა ქმედება შეცდომაა, მაგრამ არა მისი გადმოსახედიდან. იგი, რაც უფრო გაურბის საკუთარ ბედისწერას, მით მეტად უახლოვდება მას. შეიძლება ითქვას, რომ მისი ყველა ამგვარი მცდელობა პარადოქსულია. პარადოქსულია, თუნდაც, მისი სურვილი სიმართლის გარკვევისა, რადგან სწორედ ეს სიმართლეა დამლუპველი. სამართლიანია ოიდიპოსის მოთხოვნა_გაიგოს საკუთარი წარმომავლობის შესახებ. ამის გამო იგი, ემუქრება კიდევ თავის გადამრჩენელ მწყემსს. მწყემსი ორ "უფსკრულს" შორის აღმოჩნდება_იტყვის სიმართლეს და ოიდიპოსის საზარელი ცოდვა გაცხადდება, არ იტყვის_მოკლავენ. ის მაინც ცდილობს სიმართლის დამალვას. ამრიგად, შეგვიძლია გამოვყოთ ორი მხარე: ოიდიპოსი, რომელიც სამართლიანად ითხოვს სიმართლის გაგებას და მწყემსი, რომელიც სამართლიანად მალავს სიმართლეს თავად ოიდიპოსის საკეთილდღეოდ. ეს მომენტი შეიძლება კულმინაციად მივიჩნიოთ, რასაც მოჰყვება კვანძის გახსნა სიმართლის გაცხადება.

რენე ჟირარმა ჩამოაყალიბა ე.წ. "განტევების ვაცის" თეორია. მისი თვალსაზრისით, ანტიკური ტრაგედიის ყველა გმირი არის მსხვერპლი. ამ თეორიის მიხედვით, ტრაგედიაში მოქმედება აუცილებლად მიმდინარეობს ძალადობისა და კრიზისის ფონზე. არსებობს ძალადობის ოთხი სახე: 1. ძალადობა არის რეალურად მიმდინარე აქტი; 2. ძალადობა მიმდინარეობს კრიზისის ფონზე. 3. კრიზისის ფონზე მიმდინარე ძალადობას აუცილებლად ჰყავს მსხვერპლი, რომელიც გამოირჩევა გარკვეული მახასიათებლებით; 4. მსხვერპლი განდევნილი, "მოკვეთილია" იმ საზოგადოებისგან, რომელშიც მიმდინარეობს ძალადობა (ჟირარი).

ოიდიპოსის შემთხვევაში ძალადობა რეალურია. ქალაქ თებეში მართლაც კრიზისია, ჭირი მძვინვარებს. ერთადერთი ხსნა კი, დამნაშავეს ანუ ლაოსის მკვლელის დასჯაა. თავად ოიდიპოსი პირდაპირ უკავშირდება ამ კრიზისს. მსხვერპლად ქცევისათვის, საჭიროა განსაკუთრებული მახასიათებლები. გარეგან მახასიათებლებად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ ოიდიპოსი არის: მეფის ვაჟი, უცხოელი და კოჭლი, შინაგანად კი_ძალადობა და კრიზისი. ჟირარის თეორიის მიხედვით, მსხვერპლად იქცევა ის, ვინც შეაჯერებს გარეგან და შინაგან მარგინალიებს.

კრიზისის დროს საზოგადოებაში ყალიბდება მასის ფსიქოლოგია. ამ დროს ექვის მიტანა უფრო იოლია მასზე, ვინც განსხვავებულია. ოიდიპოსი, როგორც უკვე ითქვა, სამი ნიშნით არის განსხვავებული.

ჟირარი ანთროპოლოგიურ ჭრილში იაზრებს ტრაგედიის თეორიას. იგი ეფუძნება საზოგადოებისა და ადამიანის მიმართების პრობლემას. მაგრამ აქ ჩნდება კითხვა, მართლაც არის თუ არა, "ოიდიპოს მეფეში" მასის ფსიქოლოგიას? აღნიშნული ტექსტიდან ნაკლებად ჩანს. ამ დრამაში, ხალხი ოიდიპოსის მხარეს იჭერს. ეს თუნდაც, უკვე მოხმობილი ეპიზოდებიდან ჩანს, ვგულისხმობთ, იმ მომენტს, როცა მწყემსი ცდილობს არ გათქვას ოიდიპოსის წარმომავლობა. გარდა ამისა იოკასტეც სთხოვს მეფეს, რომ მეტად არ ჩაეძიოს საკუთარი ვინაობის გარკვევას. მაგრამ გასათვალისწინებელია თავად ოიდიპოსის მიდგომა და პოზიცია. მას ჰგონია რომ მდაბიოს შვილია: „დაე გარდამხდეს გარდუვალი! ჩემს ფესვებს ვეძებ!.. რაგინდ დაბალი წარმოშობის არ უნდა ვიყო, არ მეშინია...“ (სოფოკლე 1971: 66). იგი თითქოს ცდილობს დაემსგავსოს სხვებს, ეს მისი გადარჩენის საშუალებაა.... ამ შემთხვევაში, შეგვიძლია ოიდიპოსი მოვიაზროთ ამბივალენტურ პერსონაჟად. იგი ცდილობს ღვთისა და ხალხის სურვილს_მიაგნოს დამნაშავეს და ამ დროს კი თავად არის კრიზისის საბაზი. ოიდიპოსი თავისით მიდის მსხვერპლად ქცევისკენ. იგი არა მხოლოდ გარეგანი ნიშნებით არის განსხვავებული, არამედ თავისი ცოდვით. მას არავინ აძევებს და განაგდებს, ყველაფრის გარკვევის შემდეგ მეფეს თვითონ გამოაქვს განაჩენი საკუთარი თავისთვის_ითხრის თვალეებს და ტოვებს თებეს. აქედან გამომდინარე ვიტყვით, რომ საზოგადოება კი არ უპირისპირდება პიროვნებას, არამედ ოიდიპოსი განიცდის შინაგან დაპირისპირებას, თუმცა გაუცნობიერებლად.

როდესაც ოიდიპოსის გაუცნობიერებელ, შინაგან დაპირისპირებას ან მის გაუცნობიერებელ ქმედებებს ვეხებით, აუცილებლად მიგვაჩნია დავიხმაროთ ფროიდის ფსიქოანალიზის თეორია. ფროიდი სოფოკლეს ტრაგედიას არ განიხილავს ლიტერატურული ან ესთეტიკური თვალსაზრისით. მისთვის ეს დრამა უფრო გამამყარებელი არგუმენტია ფსიქოანალიზისთვის. როგორც თავად აღნიშნავს_ფსიქოანალიზი ის სფეროა, რომელიც ნებისმიერი გონებრივი სამუშაოსთვის დამხმარედ გამოდგება. მისი შეხედულებით შემოქმედება_ეს იქნება მითი თუ მწერლობა არის ადამიანის არაცნობიერის, "განდევნილის" გამოვლინება. ხელოვნების სხვადასხვა დარგში კი ხდება მათი სუბლიმირება ანუ გაკეთილშობილება_ამ გზით თავად ხელოვანი და აღმქმელიც განიწმინდება,

გათავისუფლდება დათრგუნული სურვილებისგან მისი ასეთი გააზრება ხელოვნებისა უახლოვდება არისტოტელეს კათარსისის თეორიას.

პიროვნების ზოგიერთ უცნაურ (ნევროზულს) საქციელს ფროიდი ხსნის ე. წ. „ოიდიპოსის კომპლექსით“, რომელიც გულისხმობს „შვილის გაუცნობიერებელ დათრგუნულ სურვილის, გაანადგუროს მამა, ვითარცა მეტოქე დედასთან სქესობრივ ურთიერთობაში. (ლიტერატურის თეორია 2008: 72). დრამის ტექსტიდან ნათელია, რომ ოიდიპოსმა არც ის იცის ვის კლავს და არც ის, ვის ირთავს ცოლად. ფროიდის თქმით, ეს იცის სოფოკლემ. იგი ავტორის დათრგუნული სურვილების გამოვლინებად მიიჩნევს ოიდიპოსის ქმედებას. მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ გავითიშავთ ტექსტსა და ავტორს. მთელი ნაწარმოები შეიძლება გავიაზროთ, როგორც დათრგუნულის გამოვლინება. ამოსავალ წერტილად ვსახავთ, იმას, რომ თავად პერსონაჟის ქმედება არის გაუცნობიერებელი. მას, რომ სცოდნოდა ვის კლავდა, ამას არ ჩაიდენდა, რადგან სწორედ იმის შიშით გარბის კორინთოდან, რომ თავიდან აეცილებინა მამის მკვლელობა და დედის ცოლად შერთვა. მისი გადაწყვეტილება, გაეცეს აპოლონის წინასწარმეტყველებას, საკმაოდ გაცნობიერებულია. სინამდვილეში კი, მისი გაქცევა მიახლოვებაა ბედისწერით განსაზღვრულთან.

ფროიდი დიდ ყურადღებას აქცევდა სიზმრის ფენომენს. მიიჩნევდა, რომ სიზმარი არის განცდილი სურვილების შენიღბული ასრულება. ტრაგედიაში იგივე იგულისხმება იოკასტეს ოიდიპოსადმი მიმართვაში,- "დედასთან სისხლის აღრევისა ნუ გეშინია... ზოგჯერ მოკვდავი ამ სიბილწეს სიზმარში სჩადის, მაგრამ როდესაც თვალს გაახელს, არაფერია..." (სოფოკლე 1971: 58). ოიდიპოსს ამგვარი სიზმარი ცხადად ექცევა. კორინთოდან წამოსვლის შემდეგ, იგი ხვდება ლიმინალურ ფაზაში ანუ იმ შუალედურ მდგომარეობაში, როცა იწყებს თვითგამორკვევას, საკუთარი წარმომავლობის ძიებას, არაცნობიერის, დაფარულის შეცნობას. გავიხსენოთ, ტრაგედიის დასასრულს, პირველი ხუცესის მიერ წარმოთქმული სიტყვები,- "ჰა, ოიდიპოს ბრძენი და ქველი... ვინცა შეიწხო ძნელ ამოცანის იდუმალება" (სოფოკლე 1971: 87). ვფიქრობთ, სწორედ "ძნელი ამოცანის იდუმალება" შეიძლება გავუტოლოთ არაცნობიერს.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ განხილული თეორიებიდან, ზოგს სრულად, ზოგს კი, ნაწილობრივ ვეთანხმებით. სრულად ვიზიარებთ, არისტოტელეს შეხედულებას, იმის შესახებ, რომ ოიდიპოსის ტრაგედია გამოწვეულია "რადაც შეცდომით". როგორც ზემოთ ითქვა, ასეთ შეცდომად, ლაოსის საქციელს მივიჩნევთ. ჰეგელის თვალსაზრისს ნაწილობრივ ვეთანხმებით, რადგან ჩვენ მიერ გამოყოფილი ორი მხარე (ოიდიპოსი და მწყემსი) არ არის "იდეალის ბეჭდის" მატარებელი. არც ოიდიპოსის საკუთარი წარმომავლობის გარკვევის სურვილს აკლია გონიერება და გამართლება და არც მწყემსის სიმართლის დამალვის მცდელობას. ასევე ვფიქრობთ, რომ რენე ჟირარის მსხვერპლის თეორიას სხვაგვარი ინტერპრეტაცია მიეცემა. უარყავით "ოიდიპოს მეფეში" მასის ფსიქოლოგიის არსებობა; ოიდიპოსის პერსონაჟი გავიაზრეთ, როგორც ხალხისა და აპოლონის სურვილის (დამნაშავე უნდა დაისაჯოს!) განსახიერება. ფროიდის აზრს კი, არც უარყოფთ და არც ვეთანხმებით. ფსიქოანალიზის დახმარებით, ვეცადეთ, სხვაგვარად და ერთი კონკრეტული ასპექტით (რომ მთელი ნაწარმოები არის არაცნობიერის გამოვლენა) გაგვაზრებინა სოფოკლეს ტრაგედია.

დამოწმებანი:

1. არისტოტელე 1969: არისტოტელე. პოეტიკა
2. ლიტერატურის თეორია 2008: ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები. ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 2008
3. სოფოკლე 1971: სოფოკლე. ტრაგედიები. "საჭოთა საქართველო". თბილისი, 1971
4. ფროიდი 2005: ფროიდი ზ. . ფსიქოანალიზი თბილისი 2005
5. ჰეგელი 1973: ჰეგელი გ. ვ. ფ. ესთეტიკა. პირველი ტომი. "ხელოვნება". თბილისი. 1973